ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო გაზეთი

პირველი ნელიწადი

ზამოდის სამშაბათობით.

ბაზეთის ფასი:

	ბაგზავნით ტფილისში	ბაგზავნელათ.
და გარეშე ადგილებში:		მან.
ერთის წლისა	— 7 მან.	— 6
ნახევრის წლისა	— 4 —	— 3 — 50 კ.
სამ თვისა	— 2 ვ. 50 კ.	— 2 —

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

ეოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში.

№ 14. სამშაბათი. I. 4 ივნისს 1868 წ.

შინაარსი: ოფიციალური ნაწილი:—ტფილისის უეზდის ნაჩალნიკის ბრძანებანი. —ბანცხადება. —სასულიერო ნაწილი:—საღმრთო ისტორიიდგან.—სამეურნეო ნაწილი:—რა ნაირათ შეიტყობა ნიადაგის სიკეთე, ან რა და რა ნაირია ის. —ექიმობა (მკურნალობა): სურაევნდი.—ბატების ავადყოფობა და იმათი წამლობა.—არითმეტიკა.—რიცხვნი ოთხი და ხუთი.

ოფიციალური ნაწილი.

ტფილისის უეზდის ნაჩალნიკის ბრძანებანი ტფილისის უეზდის მამასახლისებისადმი.

აღბულაღის სატელეგრაფო სტანციის უფროსი წარსულს 14 იანვარს ცხენით წავიდა ტფილისიდგან აღბულაღს და გზაზე დაჰკარგა სამგზავრო ხურჯინი, რომელშიაც ეწყო, აი ეს დოკუმენტები: 1, შინაური წერილობითი შეკრულობა პოსადი ლუბოკეის ეპარის—შადეევესა არტილერიის პოდპოლკოვნიკთან ალექსეოთან ათასს მანეთზე; ტელეგრაფის სტანციის ნაჩალნიკზე გადაცემული გადასახდეინებლად 1, ორ თაბახ ქაღალდზე დაწერილი ნასყიდობის წერილი ეპარის შადეევის შენობაზე და ადგილზე; 2, ზემოთ ხსენებული შეკრულობა მოეიხსენეთ, იქიდგან გადმოწერილი პირი აღბულაღის პოლიციმეისტრისგან დამტკიცებული. ეს ხურჯინი ზემოხსენებული დოკუმენტებით დაიკარგა გზაზე ტფილისის და ელისაბეტალის კალონიის შუა. ბმოუცხადებთ რა ამას ტფილისის უეზდის სასოფლო მამასახლისებს, ეუბრძანებთ, რომ თავიანთ სამოხელეოებში მოსძებნონ და თუ ვისმე გამოაჩნდა, გამოართვან და მე წარმომიდგინონ პატრონისთვის გადასაცემათ.

ტფილისის უეზდის ნაჩალნიკი
თ. თუმანოვი.

ერევნის 13 ლეიბ-გრენადერის მისის უმაღლესობის პოლკის კამანდირმა 6 თებერვალს მოწერილობით წარმოგზავნა ჩემთან ცხენის იარაღი თავის მორთულობით და მუქი მწვანე მაუდის ქალეტი, რომელნიც მოუპარავს ამ პოლკის სალდათს ბაგორს ქუზინსა, იმ დროს, როცა ის წარსულს წელს მოგზამგზირეთ მდგარა ტფილისის ქალაქის კოლონნისტკასთან, ეკატერინე შტოლლერთან. ამასთანავე მან, 13 ლეიბ-გრენადერის პოლკის კამანდირმა, მთხოვა, რომ გამომეცხადებინა ესა ტფილისის ქალაქში და თუ ვინმე გამოჩნდა ამ ნივთების პატრონი, მიეცეს იმას ეს ნივთები ხელწერილის ჩამორთმეეთ, რომელიც უნდა გაეუგზავნო კამანდირს გამოძიებაში ჩასართავად ქუზინის გაქცევაზე.

ვაცნობებ რა ამ ამბავს ტფილისის უეზდის მამასახლისებსა, ეუბრძანებ იმათ, რომ გამოაცხადონ ეს ამბავი თავიანთ ამოხელეოებში. თუ ვინმე გამოჩნდეს ამ ნივთების პატრონი, უნდა გამოუცხადონ, რომ ის მოვიდეს დასამტკიცებელ საბუთითა ტფილისის უეზდის სამმართველოში ნივთების მისაღებათ.

ტფილისის უეზდის ნაჩალნიკი
თ. თუმანოვი.

განცხადება.

ტფილისის უეზდის სამმართველო აცხადებს, რომ ბორჩალოს უჩასტკაში ს. სადახლოდგან წითელ ხიდამდის ხაზინის სათეზე აღგილი, რომელიც 1858 1-ლს იანვრიდგან 1868 წ. 1 იანვრამდე ჰქონდა იჯარით აღებული ტფილისის მცხოვრებს ზაქარია ქამალოეს და აძლევდა იმისთვის ხაზინას წელიწადში ოცდა ათ მანეთს, ამ წლის 1-ლს მკათათვიდგან გაიცემა იჯარით სამის წლის ვადით. მაჭრობა არის დანიშნული ჩემდამო რწმუნებულს უეზდის სამმართველოში მომავალს ივნისის (თიბათვის) ოცდა ოთხს რიცხეს; და სამს დღეს შემდეგ კანონისამებრ ეაჭრობა განმეორდება.

ვისაც ჰსურს ამ სათეზეს იჯარით აღება, უეზდის სამმართველოში უნდა გამოცხადდნენ, სადაც აცნობებენ, თუ რა და რა პირობით მიეცემათ ეს სათეზე ალაგი. 1868 წელს 31 მაისს.

ტფილისის უეზდის ნაჩალნიკი
თ. თუმანოვი.

ПРИКАЗЫ ОТЪ ТИФЛИССКАГО УѢЗДНАГО НАЧАЛЬНИКА

Сельскимъ старшинамъ Тифлисскаго уѣзда.

Начальникъ Бѣло-ключинской телеграфной станціи, проѣзжая 14 минувшаго января, верхомъ изъ Тифлиса на Бѣлый-ключъ, утерялъ дорожную сумку съ слѣдующими документами: 1, домашнее обязательство купца посада Дубовки—Фадѣева съ подполковникомъ Артилле-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ріи Аксусовымъ на 1000 руб.; переданные ему два взысканія: 1, Купчую крѣпость на 2-хъ листахъ за N 23, на строеніе и мѣсто купца Фадѣева; 2, копію съ вышеупомянутаго обязательства, засвидѣтельствованную Бѣло-ключинскимъ Полиціймейстеромъ. Сумка эта съ означенными документами утеряна на пути между Тифлиссомъ и колоніею Елизабеталь. Давая объ этомъ знать старшинамъ сельскихъ управленій Тифлисскаго уѣзда предписываю имъ въ управляемыхъ ими раіонахъ сдѣлать тщательное розысканіе означенныхъ вещей и, буде гдѣ окажется, отобрать и представить ихъ комнѣ для врученія по принадлежности.

Тифлисскій уѣздный начальникъ

Кн. Тумановъ.

Командиръ 13 Лейбъ-Гренадерскаго Эриванскаго Его Высочества полка при отношеніи, отъ 6 прошлаго февраля за N 55, препровождая комнѣ сѣдло со всѣми принадлежностями, жилетъ изъ темнозеленнаго сукна, уворованные бѣглымъ рядовымъ сего полка Егоромъ Кузинымъ во время проживанія его, въ прошломъ году, въ услуженіи у колонистки г. Тифлиса Екатерины Штоллеръ, просилъ моего распоряженія о публикованіи въ г. Тифлисѣ о тѣхъ вещахъ, и лицу, которому окажутся принадлежащими вещи, подъ росписку и препроводить выдать таковую къ нему для пріобщенія къ слѣдственному дѣлу о побѣгѣ Кузинымъ.

Давая объ этомъ знать старшинамъ Тифлисскаго уѣзда, приказываю имъ сдѣлать распоряженіе о распубликованіи по вверенннымъ имъ раіонамъ сельскаго управленія, съ тѣмъ чтобы, если окажется хозяинъ этихъ вещей, объявить ему явиться въ Тифлисское уѣздное управленіе съ доказательствами за полученіемъ.

Тифлисскій уѣздній начальникъ

Кн. Тумановъ.

ОБЪЯВЛЕНІЕ.

Тифлисское уѣздное управленіе объявляетъ: что рыбная ловля въ рѣкѣ Дебедѣ Борчалинскаго участка, отъ селенія Садахловъ до Краснаго Моста, составляя казенную оброчную статью, бывшая на откупѣ у тифлисскаго жителя Захарія Каналова съ 1-го января 1858 по 1-е января 1868 года съ платою въ казну по 30 руб. сер. ежегодно, отдается съ 1-го іюля сего года въ новое откупное содержаніе на три года; срокъ для торга назначенъ во ввѣренномъ мнѣ уѣздномъ управленіи 24 числа будущаго іюня мѣсяца съ узаконенною чрезъ три дня переторжкою; желающіе взять на откупъ эту статью могутъ явиться въ уѣздное управленіе, гдѣ будутъ предъявлены условія на какихъ отдается эта статья. Мая 31 дня 1868 года.—

Тифлисскій уѣздный начальникъ

Кн. Тумановъ.

საღმრთო — ისტორია.

ძ ვ ე ლ ი ა ღ თ ქ მ ა.

1. შექმნაზედ.

სულ პირველად არა იყო-რა ღვთის მეტი. ღმერთმა მოისურვა და ერთი თავის სიტყვით შექმნა ქვეყანა. თუმცა ღმერთს შეეძლო ყოველივე ერთი თვალის დახამხამებაში შეექმნა, მაგრამ იმან არ ინება ეს და მთელი ქვეყნის შექმნას ექვსი დღე-ღამე მოანდომა—ამ გვარი რიგით:

პირველად ღმერთმა შექმნა ცა და ქვეყანა. მაგრამ ის ცა ეს ეხლანდელი ცა არ იყო და არც ის ქვეყანა ჰგვანდა, ეხლანდელ ქვეყანას. მაშინდელი ქვეყანა იყო მოუწყობელი და ერთმანეთში არეული ნივთიერება, რომელსაც წყვდიადი (სიბნელე) ჰფარავდა. მაშინ ღმერთმა სთქვა: „იქმენინ ნათელი“—და იქმნა ნათელი;—ღმერთმა განყო ნათელი ბნელისაგან, და შემდეგ პირველის ღამისა დადგა პირველი დღე,—ეს დღე ქვეყნისთვის პირველი დღე იყო.—მეორედ ღმერთმა შექმნა სამყარო რომელზედაც დამყარებულნი არიან, ცის მნათობები და რომელიც გარე ახვევია ჩვენს დედამიწის ბურთს. ღმერთმა სამყარო სამყაროს ქვეით წყალს განაშორა და თვით სამყაროს უწოდა ცა და კვალად—ღამის შემდეგ გათენდა დილა—მეორე დღე. ამას შემდეგ ღმერთმა დედამიწაზედ წყალი განყო ხმელისაგან და მიწას უბრძანა აღმოეცენა ბალახი, მცენარე და ნაყოფიერი ხეები. ეს მოხდა მესამე დღეს.—მეოთხე დღეს ღმერთმა შექმნა ცის მნათობები, რომელთაც უნდა ეჩვენებინათ ჩვენთვის ჟამი, დღე და წელიწადი; სახელდობ: დიდი მნათობი—მზე, დღის მნათობელი, და უმცროსი მნათობი—ღამის მნათობელი—მთვარე და ვარსკვლავები.—მეხუთე დღეს ღმერთმა შექმნა თევზები და ყველა წყლის სულიერი არსება, აგრეთვე ყველა გვარი ფრინველი—ჰაერში მფრინავიც და მიწაზე მავალიც; ესენი ღმერთმა აკურთხა და სთქვა: „გამრავლდით და აღორძინდით.“—მეექვსე დღის ღმერთმა შექმნა ყველა გვარი მიწის ნადირი.—ბოლოს ღმერთმა სთქვა: „ვქმნეთ კაცი ხატებისა და მსგავსებისა მებრ ჩვენისა და მთავრობდეს თევზთა ზღვისათა და ფრინველთა ცისათა და პირუტყვთა და მხეცთა ყოვლისა ქვეყნისათა და ყოველთა ქვეწარმავალთა ქვეყანასა ზედა“. და აიღო ღმერთმა მიწა, შთაბერა სული თვისი და შექმნა ხატებითა თვისითა კაცი და სახელად დაარქო მას ადამ. შემდეგ ამისა, როდესაც ადამი ღრმა ძილში იყო, ღმერთმა ამოუღო იმას წიბო ძვალი (გვერდი) და იმისგან შექმნა მისთვის ცოლი, რომელსაც სახელად დაარქვა ევა. ღმერთმა აკურთხა ადამ და ევა და უთხრა: „აღორძინდით და გამრავლდით, აღავსეთ ქვეყანა და იუფლენით მას ზედა.“—შემდეგ შეხედა ღმერთმა თვის ქმნილებას და ნახა, რომ ყოველიფერი იყო ფრიად კარგი! ამას შემდეგ დადგა მეშვიდე დღე. ეს დღე სიხარულისათვის და განსვენებისათვის დანიშნა ღმერთმა, რადგან თითონაც ყველა თავისს საქმეს ამ დღეს მორჩა და განისვენა.

2. შეცოდება.

პირველი კაცების სადგომად ღმერთმა დააშენა ქვეყანაზედ სიტკბოების სამოთხე, შეიყვანა შიგ ადამი და ევა და უბრძანა, რომ ეკეთებინათ და შეენახათ ის. სამოთხეში მრავალ გვარი ხეხილი იყო; ყველანი სასიამოვნო სანახავნი იყვნენ და მათი ნაყოფი ხომ უფრო სასიამოვნო საჭმელი იქნებოდა. უველა ხეზედ შესანიშნავი ამ სამოთხეში ორი ხე იყო, რომელნიც შიგ შუა ბაღში იდგნენ; ეს ხეები იყვნენ: „ხე ცხოვრებისა და ხე ცნობისა კეთილისა და ბოროტისა“. კაცს რომ პირველი ხის (ცხოვრების ხის) ნაყოფი შეეჭამა, მაშინ ის მარად იცხოვრებდა და არ ეცოდინებოდა, თუ სიკვდილი რა იყო. ხოლო მეორე ხეზედ კი უფალმა ღმერთმა უთხრა ადამს: „ყოვლისაგან ნაყოფისა ხეთა ბაღისა მაგის ძალ გედვებისთ ჭამად, ხოლო ნაყოფისაგან ხისა მის კეთილისა და ბოროტის ცნობისა არამცა სჭამოთ,—იცოდეთ: რამეთუ სჭამთ რა მისგან—იმა

ეროვნული

დღეს სიკვდილით მოჰკვდებით." — მაგრამ კაცის ნათესავის მტერმა, ეშმაკმა იპოვა საშუალება, რომლითაც შეიყვანა კაცი შეცოდებაში; ამისათვის იმან აირჩია თავის იარაღად ყველა ცხოველებზედ უჭკვიანესი — გველი. ეშმაკი შევიდა გველში და გამოუჩნდა ევას ამ გვარი მზაკვარი სიტყვებით: მართლა ღმერთმა აგიკრძალათ თქვენ ამ სამოთხის ხილის ჭამა?" ევამ უპასუხა: „არა, ჩვენა ვსჭამთ ყველა ამ სამოთხის ნაყოფს; გარნა იმ ხეების ნაყოფს კი, რომელნიც დგანან სამოთხის საშუალ, ღმერთმა გვიბრძანა: „ნუ სჭამთ იმ ხეების ნაყოფს და ნურცკი მიეკარებით, თორემ სიკვდილით მოკვდებითო!" — მაშინ გველმა უთხრა: „არა თუ იმ ნაყოფის ჭამით მოჰკვდებით თქვენ, არამედ ღმერთმა იცის, რომ რა დღესაც იმ ნაყოფსა სჭამთ, იმავე დღეს აგეხილებათ თვალები, ღმერთი შეიქმნებით და გეცოდინებათ რა არის კეთილი და რა არის ბოროტი." დედაკაცმა შეხედა ხეს და მოეწონა ხილი და სთქვა: „რა კარგი რამ იქნება ამ ხის ნაყოფი, თუ კი ისეთი თვისება აქვს, რომ ამის ჭამით კაცი გამეცნიერდება!" ამას შემდეგ იმან მოსწყვიტა აკრძალულ ხეს ერთი ხილი და შეჭამა; მერე მისცა თავის ქმარს და იმანაც შეჭამა. მაშინ გაეხილათ იმათ თვალები და პირველი შეტყობილი მათგან ის იყო, რომ თავიანთ ტანის სიტიტვლე დაინახეს. მაშინ იგრძნეს სირცხვილი, რომელიც უწინ სულ არ იცოდნენ, თუ რა იყო, მოკრიბეს ლეღვის ფოთოლი, გადააბეს ერთმანერთზე და იმითი შეიმოსეს თავიანთი სიტიტვლე. ამაობაში საღამოც მოახლოვდა. ამ დროს მოესმათ იმათ უფლის ხმა, რომელიც მოდიოდა ბაღში. სირცხვილისა და შიშისაგან ადამი და მისი ცოლი ევა სამოთხის ხეებს უკან დაიმალნენ.

უფალმა ღმერთმა დაუძახა ადამს და უთხრა: „ადამ, სად ხარ?" ადამმა მიუგო: „მესმა ხმა შენი უფალო სამოთხესა ამას, შემეშინა და შიშველად ყოფისათვის ჩემისა წარვედ და დავიმალე:" — რქვა ღმერთმა: „ვინ გეტყოდა შენ თუ შიშველ ხარ, რომ არ გეჭამა იმ ხის ნაყოფი, რომლის უჭმელობა გამცნე?" — მაშინ ადამმა უთხრა: „დედაკაცი ესე, რომელი მომეც მე შემწედ, მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც ვჭამე." მაშინ ღმერთმა უთხრა დედაკაცს: „რასთვის ჰყავ შენ საქმე ეგე?" — დედაკაცმა მიუგო: „გველმა შემაცდინა და მეც ვჭამე." — მაშინ უფალი ღმერთი მიუბრუნდა გველს და რქვა: „სიბოროტისა მაგის შენისათვის წყეულიმც იყავ შენ ყოველთა ცხოველთა შორის! მკერდსა და მუცელსა ზედა ვიდოდე (დადიოდე) და საზრდელი შენი მიწა იყოს! შორის შენსა და დედაკაცისა მაგის, შვილებითა თქვენითა თურთ მტრობა ჰგიებდის, რათა იგი შენ უკან გამოგიდგებოდის შესამუსრავად თავისა შენისა და შენ—საკბენად მის ფეხის ქუსლის". შემდეგ დედაკაცს უთხრა: „გამრავლდეს მწუხარებანი შენნი: სატკივარითა და სალმობითა შვილი შობო და უფლებასა შინა ქმრისა შენისა იყო, რომელმა უნდა შენზე იუფლოს." მერე ადამს უთხრა: „ვინაიდგან შენ უსმინე ცოლსა შენსა და ჩემ მიერ აკრძალული ნაყოფისაგან სჭამე,—მაგ ცოდვისა შენისათვის წყეულიმც იყოს ქვეყანა შენ მიერ, ეკალი და კუროს თავი აღმოგიცენოს შენ, ოფლითა შენითა სჭამო შენ პური, ვიდრემდის კვალად მიწად იქცე, საიდგან მოღებულ იქმენ: მიწა ხარ და მიწად იქცევი!" — მაშინ უფალმა განდევნა ისინი სამოთხიდგან, და სამოთხეში დააყენა ქერუბინი, რომელიც ცეცხლის მახვილით ცხოვრების ხისკენ გზას უხშობდა იმათ.

სამეურნეო ნაწილი.

რა ნაირად შეიტყობა ნიადაგის სიკეთე, ან რა და რა ნაირია მიწა.

(გაგრძელება)

ამას წინა ორ ფურცელში ჩვენ ვილაპარაკეთ, თუ რანაირად შეიტყობა ნიადაგის სიკეთე და ახლა ისა ვსთქვათ: რა და რა ნაირია ნიადაგი.

უველამ ვიცით, რომ ნიადაგი ბევრ ნაირია: 1) ქვიშიანი, 2) თიხა-ქვიშიანი, 3) თიხიანი, 4) ქვიშა-თიხიანი, 5) კირიანი, 6) მჭადაქვიანი, 7) შავი მიწიანი, და 8) ტორფიანი ანუ ჭაობიანი.

ახლა ვნახოთ ეს ნიადაგები ერთმანეთისაგან რით განსხვავდებიან.

1. **ქვიშიანი ნიადაგი**, უფრო ხშირად, ზღვებს ახლო და დიდი მდინარეების ნაპირებზედ მდებარებს; ესეთი ნიადაგი ფშვენილია და თუ მსხვილ ქვიშიანია—მაშინ ძალიან ალაქატიც არის (უძარღვო, მჩატე); და რამდენიც წვრილ-ქვიშიანია—იმდენი უფრო ძარღვიანია. ამისთანა ნიადაგში ას ნაწილში სამოცდა ათი ნაწილი და მეტიც ქვიშა იქნება.

ზოგი ერთი ქვიშიანი ნიადაგი ისეთია, რომ შემუშავებაში მტვერდება და მერე თუ წვიმა მოვიდა ზედ—ამტვერებული მიწა წაილექება ხოლმე და გაშრობის შემდეგ ნიადაგს მაგარი ქერქი გადაეკვრება ხოლმე; ამ გვარ ნიადაგებში დიდხანსა სძლებს წყალი, გაზაფხულზედ გვიანა თბება და ზედ ბალახიც გვიან ამოდის. ქვიშიან ნიადაგში ყოველთვის სულ ცოტა თიხა ურევია, ამის გამო ადვილი მოსახნავიც არის; ამ გვარ ნიადაგებს **მჩატე** ნიადაგს ეძახიან. წყალს ცოტას იჭერს შიგ და მალეც შრება, მეტადრე, თუ მსხვილი ქვიშიანია; ხოლო გვალვიან ზაფხულში სულ ხმება და ამიტომ ამ გვარი ნიადაგები იშვიათად უნდა ხნან და თესონ. მზისაგან ძალიან ჩქარა ცხელდება, დიდხანსა რჩება თბილად; ამ მიზეზით გაზაფხულზედ მალე შრება, ბალახი ადრე ამოდის და ყველა მიწის მოსავალი ამისთანა ნიადაგზედ უფრო ჩქარა შემოდის, ვიდრე სხვა ნიადაგზე. ქვიშიან ნიადაგზე სასუქი ჩქარა დაიწვის ხოლმე, ამისთვის პატივის დაყრა ხშირად მოუნდება ხოლმე, ეს კია, რომ ბევრი არ უნდა დააყარონ, ისა სჯობია, ცოტა დააყარონ და ხშირად-ორ წელიწადში ან ბევრი-ბევრი სამ წელიწადში ერთხელ; იმის მოსახდენი სასუქი ძროხისა და ხარისაა; ცხენისა, ცხვრისა და საზოგადოდ ბზისა და ნამჯის სასუქი არ უხდება. ქვიშიან ნიადაგზედ **ჩალთური** (რუსული, შავი პურის ხორბალი) მოდის კარგა; აგრეთვე კარგა მოდის: **კარტოფილი**, **უგრეხელა** და სხვა; მაგრამ კართოფილს ყველაზედ უკეთ უხდება ეს ნიადაგი. თუ ეს ნიადაგი დიდხანს უპატივიბიათ, კარგად არის შემუშავებული და იმ ალაგას გვალვაც არ იცის, მაშინ იმ ნიადაგზედ შეიძლება მოიყვანონ: **იონჯა**, **კანაფი**, **ცერცვი**, **სტაფილო** და **თამბაქო**. თუ რომ ხშირი მოხვნისაგან ძალიან გალაქატდეს, მაშინ უნდა თავი დაანებონ და საძოვრად გაუშვან რამდენიმე წელიწადს.

ქვიშიანი ნიადაგის გაკეთება შეიძლება ამ გვარად:

ა. უნდა დააყარონ ზედ თიხა ან მჭადა ქვა, თუ ეს ძვირად არ დაჯდება და ახლო იშოვება.

ბ. დააყარონ ზედ მძიმე (მაგარი), მსუქანი და დამწვარი ძროხის სასუქი.

ბ. წყალი მიუშვან ხოლმე ზედ, თუ ეს შესაძლებელია.

დ. ღრმად უნდა მოხნან, თუ ძირში თიხა არის.

ე. ხშირ-ხშირად იხმარონ ხოლმე საძოვრად და რამდენსამე წლის უკან ისევ ხნან.

2. **თიხა-ქვიშიანი** ნიადაგი ისე ქვიშიანი ნიადაგია, იმ გარჩევით, რომ ამისთანა ნიადაგში უფრო ბევრი თიხა ურევია, ვიდრე ქვიშიანში; აქ ას ნაწილზე ათიდგან ოცდა-ათ ნაწილამდის არის თიხა. ამის გამო თიხა-ქვიშიანი ნიადაგი უფრო ძარღვიანია, უფრო დიდხანს იჭერს წყალს და აგრე გვიან არა ხმება. ამიტომ თიხა-ქვიშიანი ნიადაგი ქვიშიან ნიადაგს სჯობია. სახნავ-სათესად თუ საჭირო იყოს ქვიშიანი ნიადაგი,—ამ გვარი არჩევანია საჭირო: იმისთანა ალაგები უნდა აირჩეს, რომელიც უფრო სველია და დაბლობზე, მთებს შუა მდებარეს, (მთებზე მდებარე არ იკარგების), წყალსა და ტყეს ახლოს, ამასთან დაქანებული ჩრდილოსკენ უნდა იყოს და არა სამხრეთისკენ.

3. **თიხიანი** ნიადაგი სულ სხვა თვისებისაა. ძალიან ყამირია, ძარღვიანი და წებოვანია და ისეთი ძნელი სამუშაო არის, რომ **ძ ი მ ე** ნიადაგს ეძახიან. ამისთანა ნიადაგში ას ნაწილში ორმოცდა ათ ნაწილზე მეტი თიხა არის. სიცხეებში ისე გახმება, რომ გუთანს გაჭრა გაუჭირდება ხოლმე. წყალს ბევრ იწოვს და ამიტომ გვიანა შრება,—ამ მიზეზით ხშირად მოხვნა უჭირს. ზეალეის დროს თიხიან ნიადაგზედ უფრო ხეიროს ყანა, ვიდრე ქვიშიანზედ. მზისაგან ისე მალე არა თბება, როგორც ქვიშიანი, მაგრამ გაცივება კი მალე იცის; ამ მიზეზით გაზაფხულზედ დიდხანს არა შრება ხოლმე, ზედ ბალახი გვიან ამოდის და ამისთანა ნიადაგზე ყანებიც გვიან შემოდიან. ზაფხულში, წვიმებს შემდეგ მალე არ უნდა მოხნან, ამიტომ რომ ბელტ-ბელტად შრება მოხნული და ისე მაგრდება, რომ ვერანაირი ფარცხი ვერაო ამტერეესიმ ბელტებს. უკეთესი იქნება, რომ თიხიანი ნიადაგი შემოდგომაზე მოხნან ხოლმე, რადგან ზამთრის ყინვები ბელტებს ამტერეეს და ამით ნიადაგს არბილებს (აალქატებს). სასუქი ამ ნიადაგში დიდხანს ინახავს თავის ძალას, ამიტომ ხუთ-ექვს წელიწადში ერთხელ ბლომად უნდა დაჰყარონ ხოლმე და ისე ხნან. ამ ნიადაგს უფრო ძალიან ცხენისა, ცხვრისა და ეაცის სასუქი უხდება; და თუ ძროხის სასუქის დაყრა ჩსურსთ, მაშინ ეს სასუქი ახალ-ახალი უნდა დაეყაროონ, მანამ არ დამწვარიყოს ჯერ. **თ**იხიან ნიადაგზედ კარგა მოდის **ხ ო რ ბ ა ლ ი** და ამ მიზეზით **ხ ო რ ბ ლ ი ს** ნიადაგს ეძახიან. **თ**უ თიხიან ნიადაგს ცოტა კირიც ურევია, მაშინ კარგი მოვა: **ა ჭ ა რ ა, ქ ე რ ი, ბ ა კ ლ ა, კ ა ნ ა ფ ი, ი ო ნ ჯ ა** და **შ ე რ ი ა. ხ**ეები თუმცა ჩქარა იზრდება ამ ნიადაგზედ, მაგრამ ცუდი ეს არის, რომ რბილი ხე იცის. **ი**სეთი თიხიანი მიწაც არის, რომელშიაც ცოტა ქვიშა ურევია, ამასთან ძალიან წმინდა; ეს მიწა სახნავ სათესად არ ეარგა, რადგან ძალიან ყამირი და წებოვანია; ამისთანა თიხას **ს ა ჭ ი რ ბ ლ ე თ ი თ ხ ა ს** ეძახიან და ქაშანაური ჭურჭლის საკეთებლად ხმარობენ.

თიხიანი ნიადაგი შეიძლება გაუკეთდეს შემდეგი საშუალებით:

ა) **თ**უ თიხიანი ნიადაგი ძალიან წებოვანია და ძნელი სამუშაოა, მაშინ უნდა დააყაროონ ზედ, თუ ძვირად არ დაჯდება, ქვიშა, კირი ან მჭადა-ქვა, ან შენობის ღორღი.

ბ) **მ**ოფინონ ზედ ცხენისა და ცხვრის ან ახალი ძროხის სასუქი, აგრეთვე ტყის ფოთოლიც კარგია.

გ) **თ**უ მინდორს ბალახი მოედო, მაშინ უნდა თხლად, აგურის სითხეზედ, ასჭრან მიწა ბალახის ფესვებიანად, მერე რამდენსამე ალაგს დაგროონ მინდორზედ და ცხელ დღეში ცეცხლი წაუკიდონ; როცა დაიწვის—ნაცარი მინდორზე უნდა მოჰფინონ.

დ) **ღ**რმად უნდა მოხნან ხოლმე, ამასთან შემოდგომაზე, რომ ზამთარმა მოხნულს მოასწროს.

ე) **შ**ესვენებას შემდეგ რამდენჯერმე უნდა მოხნან სიგძეზედ და სიგანეზე; კართოფილი, ჭარხალი და სიმინდი რომ თესონ ზედ, და თავის ღროზედ თოხნონ—ამითაც გაკეთდება ნიადაგი.

ვ) **თ**უ თიხის ძირს ქვიშა არის, მაშინ უნდა ისე ღრმად მოხნან, რომ ცოტა ქვიშასაც მოჰხვდეს სახნისი და ამ გვარად, ერთბაშად კი არა ნელ ნელა თიხიან ნიადაგს ქვიშა გადურიონ ხოლმე.

ზ) **რ**ოდესაც ნიადაგი არც ძალიან მშრალია და არც ძალიან სველი, მაშინ უნდა მოხნან და დაფარცხონ.

ი) **დ**ბლობ ალაგებში ვიწრო ველებად უნდა მოხნან.

სახოგადოდ, თიხიან ნიადაგზედ სახნავ სათესად ისეთი ალაგი უნდა აარჩიონ, რომელიც სამხრეთისკენ არის დაქანებული.

4. **ქ ვ ი შ ა-თ ი ხ ი ა ნ ი** ნიადაგი ის არის, რომელშიაც თითქმის ნახევარი ქვიშაა და ნახევარი თიხა; ეს ნიადაგი ქვიშიანსა და თიხიანს ნიადაგში შუათანაა. ქვიშა-თიხიან ნიადაგის ას ნაწილში თიხა ოცდა-ათიდგან ორმოცდა ათ ნაწილამდის არის. ქვიშა თიხიანი ნიადაგზედ მუშაობა უფრო ადვილია, ვიდრე თიხიან ნიადაგზე. ეს ნიადაგი თიხიანზე უფრო დიდხანს ინახავს სათესებს; ხოლო სისველე ამ ნიადაგში ქვიშიან ნიადაგზე დიდხანს ინახება; ამ მიზეზით ქვიშა-თიხიან ნიადაგზედ მოსავალს როგორც გვალვისა, აგრეთვე სინოტიეესიც არ ეშინიან. ეს ყველაზე უკეთესი ნიადაგია; ამ ნიადაგზე თითქმის ყველა მოსავალი კარგა მოდის, თუ ჭალამ არ დაუშალა. ზაზაფხულზე ქვიშა-თიხიანი მიწა თიხიანზე უფრო მალე შრება, აგრეთვე მოსავალიც უფრო მალე შემოდის. ქვიშა-თიხიანზე ყველა მარცვლიანი მოსავალი კარგა მოდის, და ყველაზე უკეთესად კი ეს ნიადაგი ქვრს ჟუდება—ამისთვის ამ ნიადაგს ეძახიან **ს ა ქ ვ რ ე ნ ი ა დ ა გ ს. ამ** ნიადაგზე კმრგა მოდის აგრეთვე: **ც ე რ ც ვ ლ ო ს პ ი, ც ო ლ ი ს პ ი რ ა, ბ ა კ ლ ა, მ უ ხ უ დ ო, ი ო ნ ჯ ა,** და ყველა ბალახი; **კ ა რ ტ ო ფ ი ლ ი, თ ა ლ გ ა მ ი, კ ა ნ ა ფ ი, თ ა მ ბ ა ქ ო, ე ნ დ რ ო, მ უ ხ ა, თ ე თ რ ი ქ რ ა ს ნ ი ლ ი, ნ ა ძ ვ ი** და **ნ ა კ ვ რ ჩ ხ ა ლ ი. ქ**ვიშა-თიხიან ნიადაგს ბევრი მოელა არ უნდა მხოლოდ ეს არის საჭირო, თუ უჭირს, პატიეი დააყაროონ და კარგად მოხნან ხოლმე.—ამის მეტი არ უნდა რა.

სურავიანდი.

თუ კაცს თიხის სუნი აეღინა, მთელი ტანი შეუშუპდა, მოეშო და ღრძილებიდგანაც სისხლმა დაუწყო დენა, ამასთან რამდენსამე ხნის შემდეგ ფეხებზედ ლურჯი ზოლები დაღლაქები გამოაჩნდა, ფეხები დაუმძიმდა და დაუდუნდა,—ამ ავადმყოფობას **ს ურ ა ვ ა ნ დ ი** ჰქვიან.

ს ურ ა ვ ა ნ დ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი.

სურავანდის ნიშნები შემდეგია: მკრალი ლურჯი, ჭუკყიანი, დასიებული და ფაფუკ (რბილი) ღრძილები, რომელთაც წრწნა (ფუ ვილი) მოსდით და ოდნავ ხელის დაჭერი სისხლი გამოჰდისთ; საზიზღარი მყრალი სუნ

პირიდგან, კბილების რყევა და დაცვივნა, მაჯის ძარღვის სუსტი, იშვიათი ცემა, შეშუპებული (ასიევებული) და ფერ მკრთალი პირისახე, ფეხებზე (წვივებზე) ლურჯი ლაქები და დალურჯება; სახსრების ტეხა, მეტადრე მუხლებსა და კოჭებში; მალე დაღალვა და ქაქანი, თითქმის მცირე მოძრაობისაგანაც; სიზარმაცე და ყველა საქმის მოძულება; დაღონებული მდგომარეობა; მყრალი ოფლი; სქელი, მყრალი და მღვრიე შარდი, რომელსაც სილპო მალე ეკიდება. ხანში რომ შედის სურავანდი და ძლიერდება, მაშინ ავადმყოფს პირიდგან, ცხვირიდგანა და ყელიდგან ხშირადა ჰდის სისხლი; ნადენი სისხლი თხელია, მუქი, ძნელად დედდება, ცოტა ხაჭოიცის და ბევრი წყალი, მალეც ლპება; ბოლოს-და-ბოლოს სისუსტე იქამდის უძლიერდება სურავანდიანს, რომ მცირე მოძრაობისაგან და დიდ ხან დგომისაგანაც გული უღონდება, ლურჯდება და ამასთან მთელ ტანზე ლურჯი ლაქები მოეფინება ხოლმე და საშინელს სახეს აძლევს ავადმყოფს; ტანზე ზოგ ალაგას და უფრო კი წვივებზედ კანი უკორძდება, მერე უჩნდება დიდრონი, ლურჯი ფერის, მყრალი, ღრუბლის მსგავსი, ფაფუკი იარა, რომლიდგანაც სისხლი დაიწყებს დენას; ეს ალაგები ხშირად, თითქმის უმიზეზოდ, დუნდებიან და ზოგიერთ ასოს სრულებით გრძნობას უკარგვენ.

შინაგანი და გარეგანი მიზეზები.

სურავანდის შინაგან მიზეზს შეადგენენ სისხლის რიგიანად დაუმჟავებლობა. ხოლო გარეგანს მიზეზებსაც ისეთი გარემოება და საშუალება შეადგენს, რომელიც უშლის სისხლის დამჟავებას, სახელდობ: ნოტიო, ცივი ან თბილი, უწმინდური და შემხრჩვალი ჰაერი, რომელიც სავსეა ხალხის გამონასუნთქულითა და ოფლით, ბნელი ჰაერით ან ჭაობის ოშხივრით; დამპალი და აყროლებული საჭმელი და სასმელი, დიდხანს ნადები დამარილებული ან დალორებული წამხდარი ხორცი, დაობებული პური, მყრალი, მლაშე წყალი, ტანის უწმინდურად შენახვა, (რადგან უწმინდურობა ტანში უჯდება კაცს და უფუჭებს სისხლს); ტანში შეკვრა, მეტადრე შარდისა და ოფლისა, ხანგრძლივი სიბნელე, მწვანილეულის მოკლება და უძრავად ყოფნა; აგრეთვე მწუხარება, ჰმუნვა და შური. ამ მიზეზებით დაემართებათ ხოლმე სურავანდი იმ გლეხებს, რომელნიც მჭიდრო, ნოტიო და ბნელ სახლებში (მიწურებში) დგანან და ამასთან იქვე, თითქმის თავისთან, ძროხები და ცხენები უბიათ. თუ კაცს მოსავალი არ მოუვიდა და მთელი ზამთარი ცუდ პურსა სჭამს და ამასთან არაფერ მწნილეულს არა ხმარობს, მაშინ—მარტშია და აპრილში ან უფრო ადრე გამოაჩნდება ხოლმე სურავანდი—ჯერ საწყლებს და მერე უფრო შეძლებულებს, და ამ გვარად მომფენ ავადმყოფობასავით მთელ სოფელს მოედება ხოლმე და ხან და ხან რამდენსამე სოფელს ერთად; მაგრამ თუ თბილი ამინდები დადგა, მაშინ სურავანდი ჰკარგავს თავის ძალას და ავადმყოფებიცა რჩებიან. ამასთან ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სურავანდიან ავადმყოფს გაზაფხულზედ ადვილათ ემართებათ დრო-გამოშვებითი ციება, რომლის შემდეგ მოუვათ ხოლმე ტყირპის დაკვრა, მუცლის წყალმანკი, ფეხების დაჯირჯვება და სხვ. ამას გარდა სურავანდი გამოაჩნდებათ ხოლმე ზღვის პირისა და ჭაობის ახლო მცხოვრებლებს, და იმ სასახლეებში, სადაც ერთად ბევრნი სცოვრებენ, მაგ: საავადმყოფოებში კაზარმებში (ჯარის კაცების სასახლეა), სატუსაღოებში და იმ სასწავლებლებში, სადაც ბევრი მოწაფეები არიან (სემინარებში), აგრეთვე გემებზე, როდესაც დიდხანს დადიან ზღვაში. სურავანდი მეთევზეებსაც დაემართებათ ხოლმე. რომელნიც ხშირად წამხდარი, აყროლებული თევზით ვაჭრობენ, და ამასთან ყველას, ვინც ზულ ჯდომელა მუშაობს და მეტადრე ნესტიან სახლებში.

სურავანდის არსება ის არის, რომ სისხლი სიცოცხლეს ჰკარგავს, მკვრივი ნაწილები უცოტავდება, თხელდება, წყალდება, მუქი ფერი ეძლევა და, სიტყვით, იმ ხასიათს იჭერს, რომ ლპობა ადვილად ემართება.

სურავანდის ცნობა ადვილია. ხანდახან სურავანდი ვენერიულ (ცუდ, სიყვარულისაგან) ავადმყოფობასა ჰგავს, მაგრამ მიზეზებითა და გაშინჯვით გაირჩევა იმისგან 1) სურავანდი კბილებსა და ღრძილებს გამოაჩნდება ხოლმე, ცუდი ავადმყოფობა კი ენას, ზლმურდლებს და ხახას; 2) სურავანდისაგან მუცელია უფრო შეჭირვებაში, ცუდი სენისაგან კი თავი და ხელფეხი და 3) სურავანდის იარევები ცუდი სენის იარაებზედ სველები არიან.

წამლობა.

მორიდებული წამლობა სურავანდისა იმაში შესდგება, რომ მოარიდონ ავადმყოფს ყველა სურავანდის მიზეზები; ამისთვის სურავანდიანი ამ გვარად უნდა მოიქცეს: 1) როდესაც ზევით აწერილი ნიშნებით შეატყონ ვისმე, რომ სურავანდით არის ავად, მაშინ ავადმყოფი უნდა გადიყვანონ სუფთა, ფართო და ნათელ ოთახში, რომელსაც ფანჯრები აღმოსავლეთისკენ ან სამხრეთისკენ უნდა ჰქონდეს მიქცეული. 2) იმ ოთახში, სადაც სურავანდიანი ავადმყოფია, სისველე და სინოტიე არ უნდა იყოს (ამისთვის არ უნდა მორწყან, არც წყალი უნდა დადგან რითიმე); სურავანდიანებმა უნდა ადრე გაიღვიძონ, ქვეშაგებში ბევრხანს არ უნდა იწვნენ, მზის ამოსვლის უმალ უნდა ადგნენ ხოლმე და, თუ ამინდმა და დრომ არ გაუშალოს, კარგი იქნება წმინდა ჰაერზე გამოვიდნენ ხოლმე და თითქმის მომეტებული დრო გარეთ უნდა გაატარონ, მზეზე. ჰაერი და მზე სურავანდისთვის საუკეთესო წამლებია: ჰაერი სუნთქვაში ახალისებს; სუნთქვა აცხოველებს და აახლებს სხეულს და ამ გვარად აძლევს ახალს სიცოცხლეს. სურავანდიანებს ძალიან უყვარსთ მზეზე დიდხანს ყოფნა, ტკბილად დაეძინებათ ხოლმე და რომ იღვიძებენ რაღაცა ხალისსა ჰგრძნობენ თავიანთ აგებულებაში. 3) საჭმელ-სასმელად შემდეგი უნდა იხმარონ: ხახვი, ნიორი, ლანძილი, (ლანძილი ჩვენში ძალიანა რგებს სურავანდიანებს), მდოგვი, ჰუმი, დაფხეკილი კარტოფილი, ბოლოკი, კომბოსტოს მწნილი, ჭარხალი, კიტრის მწნილი, მაწონი, სხვა და სხვა მწვანილეული, მჟავე ხილი, ლიმონი, ბოზა (ბურახი), მახოხი, პივო. ესენი სულ სურავანდის წინააღმდეგები საშუალებანი არიან და იხმარებიან, როგორც ცალკე, ისე საჭმლის სანელებლათაც; მაგრამ ყველაზე კარგია წყალში გარეული ლიმონის წვენი და ახალი ხარდალით შენელებული პივო. სურავანდიანებისთვის სასმელად მარგებელია: ძმარ-წყალი, კვასი, ხარდლის წვენით შეზავებული წყალი ახალი ან დამჟავებული არაყის ხის წვენი, რძე და დო. ამ საჭმელ-სასმლის ხმარებით,

სურავანდისაგან განთავისუფლდება. ავადმყოფი, თუ ჯერ არ გაძნელებულა სურავანდი და ახლობის დროსვე დაიწყო ამეების ხმარება; ეს კია რომ ეს საჭმელ-სასმელი დიდხანს უნდა იხმარონ სურავანდიანებმა. 4) თუ სურავანდი ხანგრძლივი ჯდომისაგან იყოს, ან შემაწუხებელი გრძნობისაგან: მწუხარებისაგან, შიშისაგან და სხვ.—მაშინ ავადმყოფებს, ზევით აწერილ საჭმელ-სასმელ გარდა, არგებსთ ყოველდღიური მოძრაობა წმინდა ჰაერზედ, (ღონის შესაფერად), მაგ: წყნარი, გამუდმებული ვარჯიშობა მთელი ტანისა, ანუ სეირნობა, დილით მზის ამოსვლის შემდეგ ორ-სამს საათს უკან და საღამოთი მზის ჩასვლამდის სამი საათით ადრე. 5. რადგან სურავანდიანი ავადმყოფები მოუთმენელნი და მოწყენილნი არიან, ამისთვის კარგია, რომ სასიამოვნო საზოგადოებაში, ან რამე შექცევით გაატარებინონ ხოლმე დრო. სურავანდიანებს საცმელი და საღგომი არც გრილი და არც თბილი უნდა ჰქონდესთ—შუათანა უხდებათ; ამასთან სასარგებლო იქნება, რომ ყოველდღე ნელთბილი წყალი დაისხან ხოლმე ტანზედ. 7) ვისაც სურავანდი ჰქონია და მორჩენილა, რომ აღარ მოუბრუნდეს, იმან აღარ უნდა იხმაროს ხორცეული და თუ სჭამს, დღეში ერთხელ მეტად ნუ, ისიც სულ ცოტა; იმან უნდა ჭამოს რძე და მცენარე საჭმელი (ბალახეული, მწვანილეული და ხილეული) და მეტადრე ზევით ნათქვამი ბოსტნეული; ყველა სასმელშია და საჭმელში მჟავე რამე უნდა ჩაურიოს და ისე სვას და ჭამოს; ამას გარდა საჭირო იქნება, რომ ყოველ დილით თითო სტაქანი ღოლოს ნახარში და თითო რუმკა (პატარა სტაქანი) ფიჭვის ხორკლით დაყენებული არაყი დალიოს. ზაფხულში ამეების მაგიერად შეიძლება იხმარონ ხილი: მარწყვი, მჟოლა, ალუბალი, მოცხარი, ყველა გვარი ვაშლი და მსხალი და სხვ. ამ ხილს ყველა უნდა ხმარობდეს, ვინც სურავანდიანი ყოფილა, ან ვისაც ახლად აჩნდება.

სურავანდის ნამდვილი წამლობა შესდგება შემდეგში: სურავანდიანებმა უნდა აილონ ფიჭვის ერთი წლის ტოტები (კლერტები), ხორკლი და ეგირის (კოთხუჯის) ფესვი, ეს გამოხარშონ და იმათი ნახარში სვან ყოველთვის, ან არა უკეთესი იქნება არაყი დააყენონ ამეებით და დღეში ორჯერ თითო ნახევარ სტაქანი სვან ხოლმე. ქონდარიც სურავანდის მარგებელია; ამისთვის უნდა აილონ სამ მისხალ ნახევარი გამხმარი ქონდარი, ზედ ნახევარი გირვანქა ადუღებული წყალი დაასხან და ეს ჩაი თითო სტაქნობით დალევინონ სურავანდიანს და ამითივე კარგი იქნება მჩვარი რამე დაასველონ და ლაქებზედა და იარაებზედ დაადვან. წმინდა ჰაერი, მზე და სურავანდის მიზეზების მორიდება კმარა სურავანდის მოსარჩენად, თუ ჯერ გაძლიერებული არ არის ეს სენი.

თუ სურავანდი გაძნელებული არ არის ან თუ ჯერ მარტო ღრძილებს ეტყობა ეს ავადმყოფობა, მაშინ საკმაო იქნება დღეში რამდენჯერმე ლიმონი შეწუწნოს, და თუ ლიმონი არ არის, იმის მაგიერ მჟაუნაც კარგია. პირიდგან თუ ცუდი სუნი ჰსდის სურავანდიანს, ღრძილებში სიმსივნე აქვს, სისხლიცა ჰსდის და კბილებიც ენძრევა—მაშინ უნდა აილოს მუხისა და კოთხუჯის ფოთლები, გამოხარშონ, ნახარში შაბი და ხარდლით დაყენებული არაყი გაურიონ და იმ შეზავებით დღეში რამდენჯერმე უნდა გამოირეცხონ პირი. სახსრების ტკივილისთვის და ლურჯი ლაქებისთვის კარგი იქნება მტკივანი ასოები არყის ხით, ან ჭინჭველით დაყენებული სპირტით, ან ხარდლით დაყენებული ღვინით დაუზილონ; ლაქებს არაფერი გარეგანი წამალი არ უნდა. სურავანდიანს თუ ცხვირიდგან სისხლი ჰდის, იმის შესაწყვეტად კარგი იქნება ცხვირში შეისხან: ცივი წყალი, მუხისა და ტირიფის ქერქის ნახარში, ძმარ გარეული ან შაბ გარეული; უკანა ტანიდგან სისხლის დენისთვისაც კარგია ამაების ცივი ოყნა; მაგრამ თუ გულიდგან ამოსდის სისხლი (ნახველად), მაშინ უთუოდ ექიმს უნდა ჰკითხონ რჩევა. დაკორძებულ სიმსივნეზე, რომელიც შემდეგში იარაებად იქცევა ხოლმე, მოშუშული თივის ნაძირალა ან ძმარ მოსხმული ქატო უნდა დაიდონ, ან დურდოს ნახარში თბილი საბანებელი უნდა გაუკეთონ სურავანდიანებს; ესეთი საბანებელი სახსრების ტეხასაც ძალიანა ჰშველის.

დრო გამოშვებითი ციება თუ სჭირთ სურავანდიანებს, მაშინ იმათ უნდა იხმარონ ქინაქინა: ორი ან ოთხი ხორბლის წონა უნდა აძლიონ საათში ან ორ საათში ერთხელ. თუ ცუდ სენიანებსა სჭირსთ სურავანდი, მაშინ ჯერ უნდა სურავანდს უწამლონ და მერე ცუდ სენს. სურავანდიანებს თუ პირში (ღრძილებზე და სხვ.) სიმსივნე და იარაები აქვსთ—საჭმელად ბრინჯის შორბა უნდა იხმარონ და სასმელად მჟავე ხილის სასმელები; ამასთან ღრძილები თაფლით, ლიმონის ქერქით ან გულით უნდა დაიზილონ; და თუ ძალიან სტკიოდესთ ღრძილები, მაშინ ქერით დაყენებულ არაყში უნდა ლიმონის წვენი გაურიონ და იმითი გამოირეცხონ ხოლმე პირი.

ბატების ავადმყოფობა და იმათი წამლობა.

რაც შინაურს ფრინველს ემართება, ის ავადმყოფობაც ბატის მტერია. ამისთანა ავადმყოფობა უყურადღებობისა და ცუდის ჭმევისაგან მოსდის; აგრეთვე ცუდი წყლისა და სამწყვდევში უსუფთაობისაგან. ბატების მოსარჩენად საუკეთესო წამალი ის იქნება, რომ კარგი და ბევრი საკვები მისცენ, რაც შეიძლება სუფთათ და წმინდათ იქონიონ სამწყვდევი. თითოეულს ავადმყოფობას თავისი ნიშნები აქვს; მაგრამ ზოგი იმისთანა ნიშნებია, რომ ყოველგვარს ავათმყოფობაში გამოაჩნდება: ფრინველი დაიწყებს მოწყენას, ნელა დადის ხოლმე, ბუმბული აეშლება და აღარც ელვარებს.

ყველაზედ უფრო აუტანელი ავადმყოფობა ბატისთვის არის ყვანა (ფალარათობა) და თავბრუ.

1) თუ ნესტიანი (სველი) საკვები ბლომათ აქვს, ის უეჭველად ყვანას გაუჩენს ბატსა. ამის მოსარჩენად უნდა აძლიონ მშრალი და ხმელი საკვები, რომელსაც უნდა გადაასხა შაქრით შეზავებული ცხელი ღვინო, ან არა და ზამბახი უნდა შეურიონ ხოლმე ბატის საკვებში; აგრეთვე უნდა აძლიონ ქერი, მოხარშული მუხუდო და ღვინოში დამბალი პური. თუ ამით არ მორჩა, სოლი ხახვისა ან იმის ფოთლების გადმონადუღი უნდა ასვა, ან უნდა აჭამონ ღვინოში მოდუღებული რკო.

2) თავბრუ ბატისა წარმოსდგება სისხლის თავში და ტვინში ავარდნისაგან, ან თუ მატლები დაეხვია ყურებში: ფრთები ჩამოუვარდება ასე რომ, მიწაზე დაუწყებს თრევას; კისერი დაუგრძელდება, მუდამ თრთის, თავს

არხევს, მადა ეკარგება, თავბრუ ესხმის და ირგვლივ დაიწყებს სიარულსა; თუ მაშინვე არა უწამლერა, ბატი რამოდენსამე მინუტში მოკვდება. ამ ავადმყოფობის დროს, სისხლი უნდა გაართვათ ფეხებში. თითებშუა ტყავში რომ სისხლის მასრებია დატანებული, ისინი უნდა გაუჭრან ან მახათით ან კალმის დანით.

3) მოწამვლა. ბატის ჭუკებს ძალიან უყვართ ლენცოფა და შხამა ბალახი(მათოთა); როგორც კი ერთს ფოთოლს შეჭამენ, მაშინვე მიწაზე დავარდებიან, გაშლიან ფრთებს გაბურბუსალდებიან და მოკვდებიან. თუ ჭუკი ლენცოფის ნაჭამია, მაშინვე რევანდ-ნარევი რძე უნდა დაალევინო. თუ ჭინჭარს ნაცარი აყრია, ისიც მოსწამლავს ხოლმე ჭუკსა. ამისთანა საკვებს უნდა მოარიდო ჭუკები და თუ იმითია ავათ, კირიანი წყალი უნდა ასვა. ამ წამლობით მალე გაუვლის ავათმყოფობა.

4) მუწუკი მყრალი წყლისა და სამწყვდევში უწმინდურობისაგან წარმოსდგება, ეს ავათ-მყოფობა გამოაჩნდება ბატს ყაბზობით (მუცელში შეკრულობით); ბატი ღონდება, სიარულში ბანცალებს, თავდაკიდებული დადის, ღონე გამოელევა, ბუმბული აეშლება, კურტუმის ძვალზე მუწუკი გამოუვა. ის უნდა გაეჭრას ბასრი დანითა, ჩირქი ხელით უნდა გამოერწყოს და შემდეგ ძმარით და ღვინით უნდა მოებანოს. ავათმყოფობის დროს უნდა აძლიონ გამხალისებელი საკვები: სალათა, ქერის ბზე და მოხარშული დიკა.

5) ყაბზობა (მუცელში შეკრულობა) დაემართება ბატს ხმიადისა და მხურვალე საკვებისაგან, ფშვრიის და კანაფისაგან; ბატი ხშირად შეჩერდება ხოლმე კარში გასასვლელად, მაგრამ ვერ გადის. ერთი ან ორი კოვზი ზეითუნის ზეთი უნდა ასვა: თუ ამან არ გასჭრა, ან თუ ბატმა ვერ შეიძლო ამ წამლის მიღება, წყალში დიკის ფქვილი უნდა გახსნა შეურიო რამდენიმე მანანა (ბალახია) და ძალიან დაკეპილი სალათა.

6) ბატს მკბენარი დაეხვევა ხოლმე სამწყვდევში უსუფთაობის გამო და იმიტომაც საჭიროა, რომ ხუფთად და წმინდათ იქონიონ ხოლმე. სამწყვდევი უნდა გაირეცხოს აბზინდა ბალახის წვენით და საპნის წყლითა.

7, გაზაფხულს, ძველი ბუმბულის დაყრის დრო როცა მოვა, ბატი დაღონდება ხოლმე. ბუმბული აეშლება, ტანში ხშირათ ირხევა ბუმბულის გასაცვენათ, და თვითონაც ნისკარტით გამოიგლეჯს ხოლმე. ამ დროს ბატებს თვალყურის დევნება უნდა, რომ არ დაიხოცოს: თბილათ უნდა იყოლიონ ხოლმე, ადრიანათ შერეკონ სამწყვდევში და დილით გვიან გამოუშვან ხოლმე; ნოტიო ამინდში სჯობია, რომ შინ ჰყვანდეთ; უნდა აჭამონ ფეტვი, კანაფის თესლი და დამბალი ქერი.

8. თუ ბატმა მოიტეხა რამე, კარგი საკვები უნდა აჭამო, ასვა მლინარე წყალი, კარში არ უნდა გამოუშვა და ნატკენი ფეხით ქვაზედაც არ უნდა დაჯდეს ხოლმე. მოტეხილს შეხვევაც არ უნდა, მყუდროთ შინ უნდა იყოლიო და თავისით მიარჩება.

10. პარტახტი გამოაჩნდება იმითი, რომ კისერზე; დაყრის ეს ავადმყოფობა გადამდებია; თუ ის გამოაჩნდა, დაკეპილი სალათა უნდა აჭამო ავათ მყოფს. ბატის სასმელს წყალში უნდა ჩაურიო ნაცარ-წმული, დაყრილზე რძის ნაღები და უმარილო ერბო უნდა აცხო.

არითმეტიკა.

4 ოთხი.

ერთჯერ ოთხი რამდენია?—ოთხჯერ ერთი რამდენილაა?—ერთჯერ ერთი? ერთი და ერთი?—ორჯერ ორი რამდენია?—ორი და ორი?-ერთი—ოთხში რამდეჯერ იმყოფება?—ოთხში რამდენი ორი გამოვა?—ოთხს ერთი გამოაკლე რა დარჩება?—ოთხს ორი რომ გამოაკლო, რაღა დარჩება?—სამი ოთხს გამოაკლე, რამდენი იქნება? ოთხი რომ ერთად—ორად—სამად გაჰყო, რა იქნება?—სამჯერ ერთი?—ერთჯერ ორი?—ორი და ერთი?—ერთი რომ სამს გამოაკლო?—ერთი სამში რამდენჯერ გამოვა? რამდენ თანასწორ ნაწილად შეიძლება გაიყოს ოთხი? მეტ-ნაკლებ ნაწილად რამდენჯერღა შეიძლება გაიყოს?

ნიკო, ჰა შენ ერთი თაბახი.—გაჰყავი ეგ ოთხ თანასწორ ნაწილად. ერთი იმათთაგანიმე მომეცი. მითხარი, მერამდენე ნაწილი მომეცი თაბახისა?—მეოთხედი ნაწილი.—მთელს თაბახს რამდენი მეოთხედი მოუნდება? ახლა მეორე თაბახი ავიღოთ, გავყოთ ნახევრათ და შევადაროთ მეოთხედი ნახევართან; რომელი მეტია, ორი მეოთხედი, თუ ერთი ნახევარი?

ორი ნახევარი რას უდრის?—სამი მესამედი?—ოთხი მეოთხედი? ორი მეოთხედი რა დიდს ნაწილს შეადგენს?—მთქვათ ოთხი ქვა ერთად ძევს და შეადგენს ერთს მთელს ხვავს. ამ ხვავიდგან რომ ერთი ქვა ავიღო მერამდენე ნაწილი იქმნება მთელი ხვავისა?—აბა ორი ქვა ავიღე, მერამდენე ნაწილი იქნება მთელი ხვავისა? ოთხის მეოთხედი რა რიცხვია? ანიკომ გაჰყო ერთი ვაშლი ოთხ ნაწილად და ორი ნაწილი ორს დას მისცა, ორი ნაწილი ორს ძმას, თითოს მერამდენე ნაწილი ხვდა ვაშლისა?

დედამ ოთხი ვაშლი იყიდა. უფროსს მისცა ოთხის ნახევარი, უმცროსს მეოთხედი და თვითონ დანარჩენი დაიტოვა, თითოს რამდენი რგებია?

ხაზები: დასწერეთ ერთი, ორი, სამი. ახლა ციფრებით დასწერე..—ოთხს ამგვარი ციფრებით დასწერენ: 4. ახლა ეს რიცხვი ხაზებით აღვნიშნოთ. რამდენი ხაზი გავავლე ფიცარზე?—ორი 2. ოთხს რამდენი უკლია? იმის ქვეშ გავავლე 3. ხაზი. ახლა დაითვალე ამ სამს ხაზს ქვეშ რამდენი ხაზი გავავლო.—ახლა რამდენი ხაზია გავლებული ფიცარზე:

ყმაწვილები ითვლიან:

4 შესდგება 2—გან და 2—გან

4 შესდგება 3—გან და 1—გან.

4 =„ 1+1+1+1+

ახლა ეს რიცხვი შევადაროთ წინანდელ რიცხვებთან.

ერთით ზომვა 1.

| 1 } 1+1+1+1=4 (1+1)=2 (2+1=3.
| 1 } 4 X 1=4
| 1 } 4—1—1—1=1 (4—1=3, 3—1 და სხვ.

1: 4=4

ორი ზომვა. 2:

| | 2 } 2 X 2=4
| | 2 } 2+2=4
{ 4—2=2
{ 2: 4=2

სამით ზომვა 3.

| | | 3 } 3+1=4 1+3=4
| 1 } 1+3+1=4
{ 4—3=1 4—1=3

ეს დაწერილი სქემები ყმაწვილებმა უნდა წაიკითხონ რამდენჯერმე და თუ შე-

შალათ მასწავლებელმა უნდა გაუსწოროს.

2 და 2 უ 3-ოთ რას შეადგენს? 4—ჯერ 1 უ 2-ოთ რამდენია?—3—ჯერ 1-ს 2—ჯერ 2-ზე რამდენი უკლია? —4—ჯერ ერთი 3—ჯერ 1—ზე რამდენით მეტია?—რა რიცხვი უნდა გაარო რომ 4 შეიქმნეს?—რა რიცხვი უნდა გამოვაკლო 2—ჯერ 2-სა რომ 3-ის მესამედი შეიქმნეს? ერთი რომელი რიცხვის მეოთხედია? 4—ში რა რიცხვია გაორებული.—4-ისნახევარს რამდენი უნდა მიუმატო რომ 3 შეიქმნეს?—$4-1+1-2$ რამდენით ნაკლებია 4?—$2\times2-3+2\times1+1-2$ და სხვ.

ორს ორკაპეიკიანში რამდენი კაპეიკიანია? სამს კაპეიკიანებში და ერთ კაპეიკში რამდენი თითო კაპეიკია?—ოთხ კაპეიკათ რამდენს პურს იყიდი, თითო თუ თითო კაპეიკათ ღირს? თითო პური რომ ორ კაპეიკათ ღირდეს, მაშინ რამდენი მოვა?—თითო 2 კაპეიკიანში მეპურე თითო პურს მაძლევს; მეკი ორჯერ ვაძლევ ორ კაპეიკიანს, მაშ ის 2—ჯერ 1 პურს მომცემს.

| | კაპ. { □ პური.
| | კაპ. { □ პური.

ერთი ვაშლი ორ კაპეიკათ ღირს, ორი ვაშლი რამდენათა ღირს?—მოწაფემ იყიდა ორი მსხალი და მისცა 1 კაპეიკი და სამ კაპეიკიანი. თითო მსხალი როგორ უყიდნია?

ორი სუხარი 1 კაპ. ღირს, 4 რამდენათ ღირს?—პავლეს უნდა 4 თაბახი; იმის საყიდლათ მისცეს სამ კაპეიკიანი, მაგრამ თითო თაბახი თითო კაპეიკათ ღირს, რამდენი კაპეიკი აკლია, ან რაცა აქვს იმით რამდენს იყიდის?

კოტე, ჰა, ერთი თაბახი, გაყავი ოთხ თანასწორ ნაწილათ.—მომე ერთი ამ ნაწილთაგანი?—თაბახის მერამდენე ნაწილი მომეცი?—მეოთხედი ნაწილი.—ანგარიშე რამდენი მეოთხედი მოუნდება ერთს მთელს თაბახსა. ავილოთ ახლა მეორე თაბახი, გავყოთ ორ ნაწილათ და შევადაროთ ნახევარი მეოთხედთან. რომელი უფრო მეტია, ერთი მეოთხედი, თუ ერთი ნახევარი და რამდენითმეტია? რომელი უფრო მეტია, ორი მეოთხედი, თუ ერთი ნახევარი?—სამი მეოთხედი მეტია, თუ ერთი ნახევარი.—ოთხი მეოთხედი მეტია, თუ ორი ნახევარი? მასწავლებელმა უნდა აიღოს სამი ჯოხი, ერთი ორი თანასწორ ნაწილად გაჰყოს, მეორე—სამად და მესამე—ოთხად. ამ სამი ჯოხის ნაწილები უნდა შეადაროს და აჩვენოს იმათი მეტ-ნაკლებობა ერთმანეთში).

ამ საგანზე უნდა ხანგრძლივი ვარჯიშობა. მასწავლებელმა უნდა მოიგონოს ხოლმე ახალი ტემები და იმით წაახალისოს ხოლმე სწავლაზე მოწაფეები.

ორი ნახევარი რას უდრის?—სამი მესამედი რას შეადგენს?—ოთხი მეოთხედი რაღას შეშეადგენს?

5. ხ უ თ ი.

რამდენი თითი ავიღე ზევით?—4.—ახლა?—1. მთლათ იქმნება ხ უ თ ი. ხელზე რამდენი თითი გვაქვს? თითო ფეხზედ რამდენი თითი გვაქვს.

მასწავლებელი ხელს მაღლა ასწევს, გაშლის თითებს და დაათვლევინებს ყმაწვილებს: ე რ თ ი, ო რ ი, ს ა მ ი, ო თ ხ ი, ხ უ თ ი.

ორს ყმაწვილს ხუთი ვაშლი აქვს; ერთს რომ 4 ჰქონდეს მეორეს რამდენიღა ექნება?—ყმაწვილს ხუთი ალუჩა აქვს: სამი შეჭამა, რამდენი დარჩებოდა. მარუამ ხეზე ხუთი ვაშლი შენიშნა; რამოდენსამე დღეს უკან ორის მეტი აღარ იყო, რამდენი ჩამოვარდნილა?—ერთი განიერი ლენტი მაქვს; აბა, გაზომეთ რის სიფართეა?—მასწავლებელი ლენტზე დაადებს თითებს და იტყვის რამდენი თითის სიფართეც არის? მამამ ვანოს აჩუქა სამკაპეიკიანი, დედამ ორკაპეიკიანი, ვინ იცის რამდენი შეუდგებოდა?—შაური.—ერთს შაურში რამდენი კაპეიკია?—ხუთი. ახლა ფიცარს შემოხედეთ.—დაითვალეთ ხაზები რომელთაც მე ჩამოუსვამ. თითო წყობაში ხუთ-ხუთი ხაზი უნდა იყოს. რამდენი ხაზი გავავლე?

| | | | |

—ოთხი 4. და 1 კიდევ შეიქმნა ხუთი 5.

| | | | |

ამ მეორე წყობაში რამდენიღაა?—3.—რამდენი აკლია ხუთამდის?—2. ყმაწვილებმა უნდა სთქვან 3 და 2 შეადგენს 5.—ხუთი აგრეთვე შესდგება ამ რიცხვებიდგან: 2 და 2 და 1.

| | | | |

2 ჯერ 2 და 1 შეადგენს 5. 5—ჯერ 1 შეადგენს 5.

მე მაქვს ხუთი ცალ-ცალი კაპეიკი და ერთს დიდს ფულში მინდა გავცვალო რა ფულს მომცემენ?—ერთს შაურს.—მაშ მე რომ 4 ცალ-ცალი კაპეიკი მქონდეს, შეიძლება თუ არა, ორს ფულში რომ გავცვალო?—შეიძლება, ორს ორ-ორს კაპეიკიანში; 4 კაპეიკი ერთ ფულში გაიცვლება თუ არა?—არა. ამიტომ რომ ოთხ-კაპეიკიანი ფული არ არის ჩვენს სახელმწიფოში.—ჯიბეში მიძევს ოთხი ფული, რომელნიც ხუთს კაპეიკს შეადგენენ, აბა მიხვდით ეს ოთხი ფული რამდენიანებია?

ახლა გაჩვენებთ ერთს პატარა ფულს, რომელსაც ნახევარი უზალთუნი ჰქვია.—ეს არის ვეცხლის ფული. ასე პატარა იმიტომ არის, რომ ვეცხლი სპილენძზე ბევრათ უფრო ძვირია. სპილენძის ფული ხუთ-კაპეიკიანზე მომეტებული აღარ არის.—იმაზე მეტი ზომის ფულები სულ ვეცხლისანი არიან. ხუთ ჯერ ერთი კაპეიკი რამდენია?—ორი და სამი?—საში ერთი და ერთი რამდენია? ხუთი უ ოროთ? ორჯერ ორი და ერთი?—სამჯერ ერთი და ორი რამდენია?—ხუთი უოთხოდ რამდენია?—ორი ხუთში რამდენჯერ გამოვა?—ხუთი ორ ნაკლე?—სამი ხუთში რამდენჯერ გამოვა?—ერთი ხუთში რამდენჯერ იმყოფება? რა და რა რიცხვი იმყოფება ხუთში თანასწორათ, ან რამდენი უსწორ-მასწორო რიცხვი გამოვა ხუთში? $(2+2+1;\ 3+2)$ და სხვ.

| | | | | 5.
| 1 { $1+1+1+1+1=5$ ($1+1=2$ ($2+1=3$ და სხვ.
| 1 { $5\times1=5$
| 1 { $5-1-1-1-1=1$. 3($5-1=4$, $4-1=$ და სხვ.
| 1 {
| 1 { $1:5=5$

| | 2 { $2+2+1=5$
| | 2 { $2\times2+1=5$
| 1 { $5-2-2=1$
{ $2:5=2$ (1) ორი ხუთში იმყოფება ორჯერ და დარჩება ერთი.

| | | 3 { $3+2=5$. $2+3-5$
| | 2 { $1\times3+2=5$
{ $5-3=2$. $5-2=3$.
$3:5=2$ (1)

| | | | { $4+1=5$ $1+4=5$
| { $1\times4+1=5$
{ $5-4=1$ $5-1=4$
$4:5=1$ (1) ოთხი იმყოფება ხუთში ერთჯერ და დარჩება 1. მასწავლებელმა ეს სქემები ხმა მაღლა უნდა წააკითხოს მოწაფეს.

სამს რამდენი უნდა მიუმატო რომ ხუთი შეიქმნეს? ერთს რიცხვს 2—ჯერ 2 გამოვაკლე და 1 დარჩა; აბა გამოიცან ის რა რიცხვია?—5.—ჯერ 1 რომ 2—ჯერ 2-ს გამოვაკლო რამდენია?

მამამ გაუყო თავის ხუთს შვილს ერთი ვაშლი ხუთ თანასწორ ნაწილად, თითოს რამდენი ერგო?—მეხუთედი.—ხუთ ძმას ხუთი ფორთოხალი ერგო, თითოს მერამდენე ნაწილი ერგო ხუთისა?—მეხუთედი.—მაშ ხუთის მეხუთედი რამდენს შეადგენს?—1-სა. მასწავლებელმა უნდა აიღოს ოთხი თანასწორი ჯოხი. ერთი ორ ნაწილათ უნდა გაჰყოს, მეორე სამ-ნაწილად, მესამე ოთხ თანასწორ ნაწილად და მეოთხე ხუთად. თითო ჯოხის ნაწილები ერთმანეთს უნდა შეუფარდოს; მაშინ ცხადათ გამოჩნდება, რომ ნახევარი ყველაზე დიდი იქნება; მესამედზე პატარა მეოთხედი იქნება და მეოთხედზე პატარა მეხუთედი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го іюня 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.